



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 178/ს
01/07/2022

178-21-4-202207011824



**ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №251-ში შპს „მმმ ჯგუფის“
ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და
ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „მმმ ჯგუფის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №251-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №251-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 28 500 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 05.32.06.063) ნაწილზე (3 000 მ²). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-717550; Y-4608400. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 240 მეტრით, ხოლო უშუალოდ ნავთობპროდუქტების საცავიდან – 333 მ-ით. ობიექტის ჩრდილოეთით, დაახლოებით 122 მეტრში მდებარეობს შპს „აისის“ ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული (4 ერთეული მარიგებელი სვეტი), საოპერატორო, ავტოტექნომოსახურების ობიექტი, ღია ავტოსადგომი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი, დაცვის ჯიხური, დროებითი სათავსოები, წყალშემკრები ავზი (6 ტონა), ნავთობდამჭერი სალექარი, სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და მეხამრიდი. ტერიტორიაზე ასევე განთავსდება 7 ცალი ჰორიზონტალური რეზერვუარი (ჯამური მოცულობა – 249,6 მ³), რომელთაგან 4 ერთეული (62,4, 62,4 62,4 და 22,4) განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისთვის, ხოლო 3 ერთეული (15 მ³, 15 მ³ და 10 მ³) - ბენზინის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსდება რკინაბეტონის სარკოფაგში, ჰიდროსაიზოლაციო ფენაზე და მათ შორის არსებული სიცარიელები შეივსება ღორღით. რეზერვუარები დამზადდება ლითონისგან, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებით და აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე – 6 მ, დიამეტრი – 0,05 მ). რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. ობიექტის ტერიტორია შემოიღობება 1,8 მ სიმაღლის ბეტონის კონსტრუქციით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართ სადგურზე წლიურად დაგეგმილია 2 000 000 ლიტრი დიზელისა და 800 000 ლიტრი ბენზინის საწვავის რეალიზაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმი იქნება წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმდება 6 ადამიანი. ავტოგასამართ სადგურზე სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით (ტერიტორიის მოსარეცხად). სასმელი წყლის აღება გათვალისწინებულია ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება - საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი ჭაბურღილიდან (GPS კოორდინატებია: X-717618; Y-4608392).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც დაიცვება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, ტექნიკური ჩამდინარე წყლები და ასევე, ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტები, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სპეციალური არხების საშუალებით, შეიკრიბება ნავთობდამჭერ სალექარში, საიდანაც, მესაკუთრესთან შეთანხმებით, ჩაეშვება ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ შპს „ბათუმის წყალის“ კუთვნილ არხში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში და გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები სრულად იქნება გამოყენებული საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზის მოშანდაკებისთვის/კეთილმოწყობისთვის. რაც შეეხება ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების ეტაპზე ნავთობდამჭერ სალექარში დაგროვილ ნარჩენს - დროებით განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე, სპეციალურ კასრებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნასა და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. ამასთან, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსდება მიწის ქვეშ, რაც შეამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, შეზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმოქმნილი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებას. ნავთობპროდუქტების საცავი განთავსდება სამრეწველო ზონაში არსებულ მოშანდაკებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 122 მეტრში მდებარეობს შპს „აისის“ ავტოგასამართი სადგური. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობი ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობისა (249,6 მ³) და იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტიდან მოსალოდნელი გაფრქვევები ლოკალიზებულია და იშვიათად სცილდება ავტოგასამართი სადგურის საზღვრებს, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სპეციფიკისა და საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში, შპს „მმმ ჯგუფის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური)

მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „მმმ ჯგუფი“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მმმ ჯგუფს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მმმ ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო